

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“  
რექტორის 2016 წლის „29“ თებერვლის N26 ბრძანების

**დანართი**

**ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი**

## **მუხლი 1. ზოგადი ნაწილი**

- 1.1. ბიბლიოთეკა არის საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი სტრუქტურულ ერთეული. მის გამართულ და ეფექტურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
- 1.2. ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლებასა და წინამდებარე წესის განხორციელებას უშუალოდ უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების კოორდინატორი;
- 1.3. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და უზრუნველყოფილია კომპიუტერით, პრინტერით, ქსეროქსით და სკანერის აპარატით.

## **მუხლი 2. საბიბლიოთეკო ფონდი და მისი ხელმისაწვდომობა**

- 2.1. ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი შეესაბამება სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. ლიტერატურის ელექტრონული სამიეხელი (კატალოგი) განთავსებულია ვებ-გვერდზე;
- 2.2. ბიბლიოთეკა განთავსებულია სასწავლებლის შენობის პირველ სართულზე და მისით სარგებლობა ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტების აკადემიური პერსონალისათვის და სხვა მკითხველთათვის;
- 2.3. ბიბლიოთეკა დაკავშირებულია და თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებთან და ორგანიზაციებთან. სტუდენტებსა და პროფესორებს შეუძლიათ, ისარგებლონ მათი ელექტრონული რესურსებით (ვრცლად იხილეთ ვებ-გვერდზე: „ბიბლიოთეკა“).
- 2.4. ბიბლიოთეკის ელექტრონული მატარებლების აღრიცხვის მიზნით გამოიყენება ბიბლიოთეკის ბეჭედი.

## **მუხლი 3. სამუშაო რეჟიმი**

- 3.1. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე, ორშაბათი-პარასკევი - 10-დან 19 საათამდე, შაბათი 10-დან 17 საათამდე.

## **მუხლი 4. წევრად რეგისტრაცია**

- 4.1. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია სასწავლებლის ყველა სტუდენტს, პროფესორსა და თანამშრომელს. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს;
- 4.2. საამისოდ აუცილებელი პირობაა წევრად რეგისტრაცია;
- 4.3. რეგისტრაცია შესაძლებელია პირადობის მოწმობის წარდგენითა და მკითხველის ბარათის სათანადოდ შევსებით;
- 4.4. სტუდენტი სწავლის პერიოდში, მხოლოდ ერთხელ გაივლის რეგისტრაციას.

## **მუხლი 5. წიგნის გატანა-დაბრუნება**

5.1. ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანა შესაძლებელია ერთი კვირის ვადით;

5.2. გატანილი წიგნის უკან დაბრუნების ვადის ამოწურვისთანავე მკითხველი ვალდებულია იგი დაუბრუნოს ბიბლიოთეკას. თუ მკითხველი საჭიროებს წიგნით სარგებლობის ვადის გაგრძელებას, მას შეუძლია ხელახლა გაიტანოს იგივე წიგნი ერთი კვირის ვადით, თუ არ შემოსულა სხვა განაცხადი;

5.3. სასწავლო რესურსების კოორდინატორი, რომელიც გასცემს წიგნს, დარბაზში სამუშაოდ ან წასაღებად, ვალდებულია, მკითხველთან ერთად შეამოწმოს მისი ვარგისიანობა, საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი აქტი და მოითხოვოს იმავე სახით დაბრუნება;

## **მუხლი 6. კომპიუტერით სარგებლობა**

6.1. საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობისთვის, მკითხველი მიმართავს სასწავლო რესურსების კოორდინატორს შესაბამისი მასალის მისაღებად;

6.2. სასწავლო რესურსების კოორდინატორი საჭიროებისამებრ ვალდებულია დაეხმაროს მკითხველს

კომპიუტერით სარგებლობაში;

6.3. კომპიუტერით სარგებლობისას დასაშვებია:

- ტექსტების შეყვანა და რედაქტირება;
- ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა;
- ლიტერატურაზე მუშაობა ელექტრონული ვერსიებით;
- CD დისკების, მეხსიერების ფლემ-ბარათების, დისკეტების გამოყენება დასაშვებია სასწავლო რესურსების კოორდინატორთან შეთანხმებით;
- ელექტრონული ფოსტით სარგებლობა;
- სასწავლებლის ვებ-გვერდით სარგებლობა;
- სასწავლო პროგრამებზე მუშაობა.

6.4. მკითხველს უფლება აქვს ისარგებლოს ბიბლიოთეკაში განთავსებული პრინტერით და სკანერით

## **მუხლი 7. ქცევის ნორმები და პასუხისმგებლობა**

7.1. დაუშვებელია საბიბლიოთეკო ერთეულის - ბეჭდური დოკუმენტის ან ციფრული მატარებლის დაზიანება. დაზიანების შემთხვევაში, სასწავლო რესურსების კოორდინატორი ადგენს აქტს, ხოლო ადმინისტრაცია განსაზღვრავს ფინანსურ სანქციას იმის გათვალისწინებით, თუ რა ოდენობის თანხაა საჭირო მის აღსადგენად ამ ახლის შესაძენად. მკითხველი ვალდებულია, გადაიხადოს დადგენილი საზღაური;

7.2. საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში, უნდა შედგეს შესაბამისი აქტი მისი ღირებულების მინიშნებით;

7.3. დაკარგული ან დაზიანებული ერთეულის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, რასაც დაემატება ფინანსური სანქციით დადგენილი ღირებულება, ძირითადი ფასის არაუმეტეს 100 %-ისა;

7.4. სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა, ხმამაღალი საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასწავლო რესურსების კოორდინატორს უფლება აქვს, მოითხოვოს სამკითხველო დარბაზის დატოვება.

## **მუხლი 8. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

8.1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ;

8.2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**რექტორი,  
აკაკი ხელაძე**